გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 107

2024 წლის 12 ივლისი
ქ. გორი

ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებისა და საგზაო უსაფთხოების დაცვის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, შეისწავლა არსებული მდგომარეობა და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, გურამიშვილის ქუჩისა და ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან (სამხრეთი მხარე) დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია, საგზაო ნიშნის განმეორებით დადგმა კი განხორციელდეს ქ. გორში, გურამიშვილის ქუჩა №70-ის წინ საავტომობილო გზების შერწყმის შემდეგ, ხოლო ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩა №70 საცხოვრებელი კორპუსის დასასრულის (სამხრეთი მხარე) გადასწვრივ დაიდგას საგზაო ნიშანი 7.4-„დგომის ადგილი", დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.6.1-„სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი".

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, გურამიშვილის ქუჩისა და ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან (სამხრეთი მხარე) დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია, საგზაო ნიშნის განმეორებით დადგმა კი განხორციელდეს ქ. გორში, გურამიშვილის ქუჩა №70-ის წინ საავტომობილო გზების შერწყმის შემდეგ, ხოლო ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩა №70 საცხოვრებელი კორპუსის დასასრულის (სამხრეთი მხარე) გადასწვრივ დაიდგას საგზაო ნიშანი 7.4-„დგომის ადგილი", დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.6.1-„სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, გურამიშვილის ქუჩისა და ჭავჭავაძის გამზირის კვეთასთან (სამხრეთი მხარე) დამონტაჟდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია.
2. განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული საგზაო ნიშნის განმეორებით დადგმა განხორციელდეს ქ. გორში, გურამიშვილის ქუჩა №70-ის წინ საავტომობილო გზების შერწყმის შემდეგ

3. ქალაქ გორში, გურამიშვილის ქუჩა №70 საცხოვრებელი კორპუსის დასასრულის (სამხრეთი მხარე) გადასწვრივ დაიდგას საგზაო ნიშანი 7.4-„დგომის ადგილი“, დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.6.1-„სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი“.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე